

შპს „მანგი

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

Type text here


შპს მანგი

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2022	2021
შემოსავალი	5	2334203	2658568
ძირითადი მასალის დანახარჯები		-438269	-101849
თანამშრომელთა ხელფასები და სხვა სარგებელი	6	-640009	-713093
სატრანსპორტო ხარჯი	7	-90353	-66367
იჯარის ხარჯი	8	-8750	-10000
ქვეკონტრაქტორების ხარჯი	9	-400583	-985291
ცვეთა და ამორტიზაცია	16	-35382	-11664
მივლინების ხარჯი	10	-65282	-4830
საკონსულტაციო ხარჯი	11	-9290	-3695
ფინანსური ხარჯი, წმინდა	12	8636	-10521
მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან, წმინდა	13	-5083	0
სხვა შემოსავლები	14	0	10905
სხვა ხარჯები	15	-10892	-4080
მოგება დაბეგვრამდე		638946	758083
მოგების გადასახადის ხარჯი			
წლის წმინდა მოგება		638946	758083
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		638946	758083

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელის 2023 წლის 20 სექტემბერს.

უჩა ღვინჯილია



დირექტორი

თინათინ აზარაშვილი



ბუღალტერი


შპს მანგი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

		31.დეკ.22	31.დეკ.21
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები		152062	116153
წმინდა ინვესტიცია იჯარაში		1100622	1209622
სულ გრძელვადიანი აქტივები		1252684	1325775
მოკლევადიანი აქტივები			
სასაქონლო მატერიალური მარაგები	17	21	9144
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	18	429685	230720
ფული და ფულის ეკვივალენტები	19	959398	109981
სულ მოკლევადიანი აქტივები		1389104	349845
სულ აქტივები		2641788	1675620
კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება		1408089	769143
სულ კაპიტალი		1408089	769143
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სასესხო ვალდებულება		255463	220463
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		255463	220463
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	20	880531	677967
წმინდა საგადასახადო ვალდებულებები		97705	8047
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		978236	686014
სულ ვალდებულებები		1233699	906477
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		2641788	1675620

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელის 2023 წლის 20 სექტემბერს.

უზა ღვინჯილია



დირექტორი

თინათინ აზარაშვილი

ბუღალტერი

შპს „მანგი

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება


2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

	გაუნაწილებელი მოგება	სულ
31 დეკემბერი 2020	11060	11060
წლის მთლიანი სრული ზარალი	758083	758083
გამოცხადებული დივიდენდი	0	
31 დეკემბერი 2021	769143	769143
წლის მთლიანი სრული ზარალი	638946	638946
გამოცხადებული დივიდენდი	0	0
31 დეკემბერი 2022	1408089	1408089

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელის 2023 წლის 20 სექტემბერს.

უჩა ღვინჯილია


დირექტორი

თინათინ აზარაშვილი


ბუღალტერი

შპს „მანგი“

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

ფულადი სახსრების მოძრაობა

31/12/2022 31/12/2021

საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	840973	652715
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-261433	-512000
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	269877	-197628
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	849417	-56913
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	0	0
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	109981	166894
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	959398	109981

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელის 2023 წლის 20 სექტემბერს.

უჩა ღვინჯილია

დირექტორი

თინათინ აზარაშვილი

ბუღალტერი

1. კომპანია და მისი საქმიანობა

შპს „მანგი“ (შემდგომში „კომპანია“) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია რეგისტრირებულია 2008 წლის 19 მარტს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ. კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია - 204551145. იურიდიული მისამართია - საქართველო, ქ. თბილისი, მთაწმინდის რაიონი, შევჩენკოს ქ, N12.

კომპანიის მმართველობის ორგანოს წარმოადგენს კომპანიის დირექტორია უჩა ღვინჯილია.

კომპანია სამშენებლო სფეროს სხვადასხვა სექტორში მოღვაწეობს.

კომპანიის ძირითადი საქმიანობის სფეროებია:

- დემონტაჟი ;
- სამშენებლო-სარემონტო საქმიანობა;
- ფერდობის გამაგრება'

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 100% იანი წლის მფლობელია უჩა ღვინჯილია.

2. მომზადების საფუძვლები

ზოგადი ინფორმაცია

კომპანიის წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბუთს (ბასსს) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდის მიხედვით და ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

ხელმძღვანელობამ მოამზადა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, კომპანიის მომგებიანობა და საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივ და საერთაშორისო ფინანსურ რესურსებზე წვდომა.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

ქვემოთ აღწერილი სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომელიც გამოყენებულია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, თანმიმდევრულად ვრცელდება ყველა წარდგენილ პერიოდზე, თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული.

ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა, უცხოური ვალუტის კონვერტაცია

კომპანიის ფუნქციონალურ და წარდგენის ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების თარიღისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
1 USD/GEL	2.7020	2.9239
1 EUR/GEL	2.8844	3.0757

შეფასების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით, გარდა იმ შემთხვევისა, თუ კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

საანგარიშგებო პერიოდი

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 კალენდარულ წელს: 1 იანვრიდან - 31 დეკემბრის ჩათვლით.

ფინანსური ინსტრუმენტები - პირველადი აღიარება და შემდგომი შეფასება

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი კონტრაქტი, რომელიც წარმოშობს ფინანსურ აქტივს ერთი კომპანიისთვის და ფინანსურ ვალდებულებას ან კაპიტალის ინსტრუმენტს მეორე კომპანიისთვის.

ფინანსური აქტივი

პირველადი აღიარება და შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივები თავდაპირველად და შემდგომში აღიარდება ამორტიზირებული ღირებულებით, რეალური ღირებულებით სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით და რეალური ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით.

ფინანსური აქტივის კლასიფიკაცია თავდაპირველი აღიარებისას დამოკიდებულია ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე და კომპანიის ბიზნეს მოდელზე, რომელსაც გამოიყენებს მათ სამართავად

გამონაკლისია სავაჭრო მოთხოვნები, რომელიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც კომპანიამ გამოიყენა პრაქტიკული მიზანშეწონილობა. თავდაპირველად, კომპანია რეალური ღირებულებით აფასებს ფინანსურ აქტივს, იმ შემთხვევაში თუ ფინანსური აქტივი არ აღირიცხება რეალური ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით, გარიგების თვითღირებულებით.

სავაჭრო მოთხოვნები რომელიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც კომპანიამ გამოიყენა პრაქტიკული მიზანშეწონილობა, აღირიცხება გარიგების ღირებულებით, ფასს 15-ის შესაბამისად.

იმისათვის რომ ფინანსური აქტივი კლასიფიცირდეს და შეფასდეს ამორტიზირებული ღირებულებით ან რეალური ღირებულებით სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით, მან უნდა წარმოშვას ფულადი ნაკადები, რომელიც დაკავშირებული იქნება „მხოლოდ ძირის და პროცენტის გადახდებთან“ (SPPI) ნარჩენ ძირ თანხაზე. აღნიშნული შეფასება მოიხსენიება როგორც SPPI ტესტი და ხორციელდება ინსტრუმენტის დონეზე ფინანსური აქტივების მართვის ბიზნეს მოდელი დაკავშირებულია იმასთან თუ როგორ ახდენს კომპანია ფინანსური აქტივების მართვას ფულადი ნაკადების დასაგენერირებლად. ბიზნეს მოდელი განსაზღვრავს, როგორ ხდება ფულადი ნაკადების შემოღინება, იქნება ეს სახელშეკრულებო პირობების მიხედვით, ფინანსური აქტივის გაყიდვით, თუ ორივე ერთად. ფინანსური აქტივის ყიდვა ან გაყიდვა, რაც მოითხოვს აქტივის მიწოდებას მოქმედი რეგულაციით ან ბაზარზე არსებული კონვენციით განსაზღვრულ ვადებში, აღიარდება ვაჭრობის თარიღით, რომელიც წარმოადგენს იმ თარიღს, როდესაც კომპანია ვალდებულებას იღებს, რომ შეიძენს ან გაასხვისებს აქტივს.

შემდგომი აღიარება

შემდგომი აღიარების მიზნებისთვის, ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება ოთხ კატეგორიად:

- ფინანსური აქტივები ამორტიზირებული ღირებულებით (სასესხო ინსტრუმენტები);
- ფინანსური აქტივები რეალური ღირებულებით, ჯამური მოგების ან ზარალის გადახურვით, სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით. (სასესხო ინსტრუმენტები);
- ფინანსური აქტივები რეალური ღირებულებით, ჯამური მოგების ან ზარალის გადახურვის გარეშე, სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით (კაპიტალის ინსტრუმენტები);
- ფინანსური აქტივები რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით.

ფინანსური აქტივები ამორტიზირებული ღირებულებით (სასესხო ინსტრუმენტები)

ეს კატეგორია ყველაზე დამახასიათებელია კომპანიისთვის. კომპანია აღრიცხავს ფინანსურ აქტივებს ამორტიზირებული ღირებულებით, თუ ქვემოთ მოცემული ორივე პირობა სრულდება:

- კომპანია ფლობს ფინანსურ აქტივს ბიზნეს მოდელის შესაბამისად, რათა მოახდინოს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომელიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხის და პროცენტის გადახდებს არსებულ ძირ თანხაზე.

ფინანსური აქტივები, რომლებიც აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, შემდგომში იზომება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით (EIR) და ექვემდებარება გაუფასურებას.

მოგება, ან ზარალი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც მოხდება აქტივის აღიარების შეწყვეტა, შეცვლა ან გაუფასურება. კომპანიის ფინანსური აქტივები, რომლებიც აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით მოიცავს სავაჭრო მოთხოვნებს.

სავაჭრო მოთხოვნები არის კლიენტებისგან მისაღები თანხები გაწეულ მომსახურებაზე და მიწოდებულ პროდუქციაზე საქმიანობის ჩვეულებრივ პირობებში. თუ თანხების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის განმავლობაში ან ნაკლებში, ისინი აღირიცხება, როგორც მიმდინარე აქტივები. სხვა შემთხვევაში აღირიცხება, როგორც გრძელვადიანი აქტივები.

ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარების შეწყვეტა (ანუ კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საწყისი ანგარიშგებიდან ამოღება) ხდება შემდეგ შემთხვევებში:

- ამოიწურა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლებების მოქმედების ვადა; ან
- კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის მიღებული თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; ან (ა) კომპანიამ გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) კომპანიამ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივებთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

ფინანსურ ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ფინანსური ვალდებულებები, თავდაპირველი აღიარებისას კლასიფიცირდება, როგორც ფინანსური ვალდებულებები რეალური ღირებულებით მოგება-ზარალის გავლით, სესხები, სავაჭრო ვალდებულებები, ან ჰეჯირების ინსტრუმენტებად განსაზღვრულ ღერივატივად ეფექტურ ჰეჯში.

ყველა ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, ხოლო სესხის და ვალდებულებების შემთხვევაში პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯების გამოკლებით.

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს და სესხებს საბანკო ოვერდრაფტის ჩათვლით.

შემდგომი შეფასება

ფინანსური ვალდებულებების შეფასება დამოკიდებულია მათ კლასიფიკაციაზე, როგორც აღწერილია ქვემოთ:

ადიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულების ადიარების შეწყვეტა ხდება, როდესაც მოხდება ნაკისრი ვალდებულების გაუქმება, გათავისუფლება ან ვადის გასვლა. როდესაც ხდება არსებული ფინანსური ვალდებულების ახლით ჩანაცვლება იგივე მსესხებლისგან მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან ხდება არსებული ფინანსური ვალდებულების პირობების მნიშვნელოვანი ცვლილება, მსგავსი გაცვლა ან მოდიფიკაცია აღიარდება, როგორც არსებული ფინანსური ვალდებულების ადიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება. სხვაობა შესაბამის საბალანსო ღირებულებებს შორის აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები გაიქვითება და ნეტო თანხა ნაჩვენებია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევაში თუ მიმდინარე პერიოდში არსებობს იურიდიული ძალის მქონე უფლება, რომ მოხდეს აღიარებული თანხების ურთიერთგაქვითვა და არსებობს განზრახვა, რომ მოხდეს ვალდებულების გასწორება ან აქტივის რეალიზაცია ერთდროულად ნეტო თანხაზე.

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აღირიცხება მათ თავდაპირველ თვითღირებულებას დაკლებული დაგროვილი ცვეთა/ამორტიზაცია ან/და გაუფასურების ღირებულებით. ძირითადი საშუალების და არამატერიალური აქტივების თვითღირებულება შედგება მშენებლობის ხარჯის ან შესყიდვის ფასისგან, მასთან დაკავშირებული იმპორტის გადასახადების, გამოუქვითავი გადასახადების და სხვა პირდაპირი ხარჯების ჩათვლით. ნებისმიერი სავაჭრო ფასდაკლება გამოაკლდება შეყიდვის ან მშენებლობის ფასს.

მცირე შეკეთება განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლებასთან კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება

ყველა აქტივი წარმოდგენილია საწყისი ღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა/ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელი აფასებს, არსებობს თუ არა ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების გაუფასურების რაიმე ნიშნები. თუ გაუფასურებას ჰქონდა ადგილი, გაუფასურებული აქტივის ჩამოფასება ხდება უმაღლეს თანხამდე შემდეგ ორს შორის: გამოყენების ღირებულება და სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის ხარჯები. საბალანსო ღირებულების შემცირება აისახება მოგება-ზარალზე. წინა პერიოდში აღიარებული აქტივის გაუფასურების დანაკარგი გაიქვითება, თუკი მოხდება აქტივის გამოყენების ღირებულების ან სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის დანახარჯების ღირებულების გამოსათვლელად საჭირო დაშვებების ცვლილება.

ძირითადი საშუალებების ჩამოწერა/რეალიზაციიდან მისაღები თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით განსაზღვრული სარგებელი და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

ცვეთა

იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობას ცვეთა ერიცხება საშუალო შეწონილი მეთოდით მათი სასარგებლო მომსახურების ვადის პერიოდის განმავლობაში (2-3 წელი), რათა მოხდეს მათი შესყიდვის

ხარჯის გადანაწილება მათი სასარგებლო ვადის განმავლობაში. ცვეთა სხვა დანარჩენ ძირითად საშუალებებსა და არამატერიალურ აქტივებზე გამოითვლება შემცირებადი ნაშთის მეთოდით:

ამორტიზაციის კოეფიციენტი	
მანქანა დანადგარები	20%
ოფისის აღჭურვილობა	20%
ავეჯი და სხვა ინვენტარი	20%
სატრანსპორტო საშუალებები	20%

ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო ღირებულება, რასაც კომპანია მიიღებდა ძირითადი საშუალების გაყიდვიდან, გაყიდვის ხარჯების გამოკლებით. ძირითადი საშუალებების მოსახურების პერიოდი გადაიხდება ყოველწლიურად და იცვლება საჭიროების შემთხვევაში.

იჯარა

იჯარის შეფასება და აღიარება

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი გულისხმობს საიჯარო აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული პრაქტიკულად ყველა რისკისა და სარგებლის გადაცემას, წინააღმდეგ შემთხვევაში, კლასიფიცირდება როგორც ოპერაციული იჯარა.

იჯარის კლასიფიცირება ხდება იჯარის წამოწყების თარიღისთვის, ხოლო მისი ხელახალი შეფასება - მხოლოდ იჯარის (საიჯარო ხელშეკრულების) მოდიფიკაციის შემთხვევაში. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები (მაგალითად, საიჯარო აქტივის ეკონომიკური, მომსახურების ვადის ან ნარჩენი ღირებულების), ან სხვა გარემოებათა შეცვლა არ იწვევს იჯარის ხელახალი კლასიფიკაციის აუცილებლობას მისი აღრიცხვის მიზნებისათვის.

შემოსავალი მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

კომპანია შემოსავლებს აღრიცხავს ფასს 15-ის შესაბამისად, რომელიც მოიცავს, მცირე გამონაკლისებით, კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მიღებულ ყველა ტიპის შემოსავალს. ფასს 15 აქვს 5 ეტაპიანი მოდელი კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მიღებული შემოსავლის აღსარიცხად და მოითხოვს, რომ შემოსავალი აღიარდეს იმ თანხით, რაც ასახავს სუბიექტის მიერ გაწეული მომსახურების ან მიწოდებული საქონლის სანაცვლოდ მოსალოდნელ მისაღებ საზღაურს.

ფასს 15 მოითხოვს სუბიექტებისგან, რომ კლიენტებთან ხელშეკრულებების აღნიშნული მოდელის თითოეულ ეტაპზე გამოიყენონ საკუთარი განსჯა, ყველა დაკავშირებული ფაქტების და გარემოებების გათვალისწინებით. სტანდარტი ასევე განსაზღვრავს ხელშეკრულების მოპოვების ზღვრული ხარჯების და ხელშეკრულების შესრულებასთან პირდაპირ დაკავშირებული ხარჯების აღრიცხვის წესს. ამასთან, სტანდარტი დამატებით მოითხოვს ვრცელ განმარტებით შენიშვნებს.

მოგების გადასახადი

გადასახადები წარმოდგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. მოგების გადასახადი წარმოადგენს მიმდინარე გადასახადს და აღიარდება მოგება ზარალის ანაგარიშებაში, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ის პირდაპირ აღიარებულია კაპიტალში, რადგანაც უკავშირდება ოპერაციებს, რომლებიც იმავე ან განსხვავებულ პერიოდში, ასევე პირდაპირ კაპიტალში აღიარდება.

მიმდინარე მოგების გადასახადი არის მიმდინარე ან გასული პერიოდის დასაბეგრი მოგების გადასახდელი ან ზარალის შესაბამისი მოგების გადასახადის აღდგენადი თანხა. იმ შემთხვევაში თუ ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნება ხდება საგადასახადო დეკლარაციების ჩაბარებამდე, დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება შეფასებებს. გადასახადები, მოგების გარდა, აღირიცხება ადმინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.

მარაგები

მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდგომ ღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესით. მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდით. მარაგების თვითღირებულება განისაზღვრება მთლიანი შესყიდვის ღირებულებით, დამატებული მარაგების ამჟამინდელ ადგილზე და მდგომარეობამდე მიყვანისთვის საჭირო ყველა სხვა ხარჯი. მაგალითად, ტრანსპორტირების, იმპორტის და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები.

წინასწარ გადახდები

წინასწარი გადახდები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირდება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან აღნიშნული წინასწარ გადახდა უკავშირდება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად. აქტივების შესაძენად განხორციელებული წინასწარი გადახდები გადავა აქტივის საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტროლს ამ აქტივზე და მოსალოდნელია ამ აქტივისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება.

სხვა წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალზე, როდესაც ხდება წინასწარ გადახდებთან დაკავშირებული შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მიღება. თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარ გადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში მიმდინარე ანგარიშებზე ან დეპოზიტზე 3 თვეზე მცირე ვადით.

კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის ავტორიზებული საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდების მიხედვით. ცვლილება კომპანიის წესდებაში (ცვლილება საწესდებო კაპიტალში, მფლობელებში და ა.შ) მოხდება მხოლოდ კომპანიის მფლობელის გადაწყვეტილებით. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება კაპიტალში იმ თანხით, რაც რეალურად შეტანილი იქნა კომპანიაში მფლობელის მიერ.

დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება.

ნებისმიერი დივიდენდი, გამოცხადებული საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშების დამტკიცებამდე, გამჟღავნდება შემდგომი პერიოდის მოვლენების შენიშვნაში (შენიშვნა 33).

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, ბონუსები და არა-ფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესაბამისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, შეფასებები და დაშვებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს ხელმძღვანელობისგან ისეთ შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე და წლის მოგება - ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის

ანგარიშგებაში წარმოდგენილ შემოსავლებსა და ხარჯებზე. შეფასებებისა და დაშვებების გადახედვა ხდება უწყვეტად. ეს შეფასებები და დაშვებები ეყრდნობა წარსულ გამოცდილებასა და მრავალ სხვა ფაქტორს, რომლებიც გარემოებათა გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიიჩნევა. ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს ამგვარი შეფასებებისგან სხვადასხვა დაშვებებისა და პირობების მიხედვით. ქვემოთ მოცემულია შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მნიშვნელოვანია კომპანიის ფინანსური მდგომარეობისთვის და ფინანსური შედეგებისათვის.

ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობა და ამორტიზაციის კოეფიციენტი: კომპანია აკეთებს ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობისა და ამორტიზაციის კოეფიციენტების შეფასებას, სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, როგორებიცაა: ტექნიკური ან კომერციული დაძველება, მოსალოდნელი წარმადობა, სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა, რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებზე. მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობა ცდილობს მაქსიმალურად ზუსტად შეაფასოს ძირითადი საშუალებით გამოსახული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოდელი, ის შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან, რამაც შესაძლოა არსებითი გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ მონაცემებზე.

იჯარის გაგრძელების უფლება: როდესაც საწარმოს აქვს იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლება, ხელმძღვანელობამ უნდა შეაფასოს, საკმარისად სარწმუნო იქნება თუ არა ამ უფლების გამოყენება. ხელმძღვანელობა ითვალისწინებს ყველა ფაქტს და გარემოებას, მათ შორის წარსულ გამოცდილებას და ნებისმიერ დანახარჯს, რომელიც გაწეული იქნება აქტივის შესაცვლელად, თუ ეს უფლება არ იქნება გამოყენებული, რაც მათ დაეხმარება საიჯარო პირობების განსაზღვრად. ხელმძღვანელობა თვლის რომ მათი შეფასება ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებით ადეკვატურია.

5, შემოსავალი

კომპანიის შემოსავალი 2022 და 2021 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2022	2021
კერძო კომპანიები	1465309	1889160
სახელმწიფო შესიდვები	868894	769408
სულ შემოსავალი	2334203	2658568

6, თანამშრომელთა ხელფასები და სხვა სარგებელი

კომპანიის თანამშრომელთა ხელფასები და სხვა სარგებელი 2022 და 2021 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2022	2021
ხელფასი	628585	699887
საპენსიო	11424	13206
სულ თანამშრომელთა ხელფასები და სხვა სარგებელი	640009	713093

7, სატრანსპორტო ხარჯი

კომპანიის სატრანსპორტო ხარჯი შედგება საწვავის ხარჯი და სხვა საავტომობილო დანახარჯები (მიმდინარე რემონტი) ასევე იჯარა მომსახურებებისაგან. ის 2022 და 2021 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2022	2021
ბენზინი	6958	11610

დიზელი	35891	13618
სხვა	47504	41139
სულ საწვავის ხარჯი	90353	66367

8,იჯარის ხარჯი

კომპანიის იჯარის ხარჯი 2022 და 2021 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია ოფისის იჯარის სახით და შეადგენს

	2022	2021
სულ ოფისის იჯარის ხარჯი	8750	10000

9,ქვეკონტრაქტორების ხარჯი

ვინაიდან კომპანიას მომსახურების უწევს მნიშვნელოვან ობიექტებზე ხშირად დროის ფაქტორი არის გადამწყვეტი ამიტომ პერიოდულად იყენებს ქვეკონტრაქტორის მომსახურებას. ქვეკონტრაქტორის ხარჯი 2022 წელს შეადგენს 400583 ლარს და 2021 წელს - 985291 ლარს.

10,მივლინების ხარჯი

კომპანიის მივლინების ხარჯი 2022 და 2021 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2022	2021
მივლინება საქართველოში	21832	4830
მივლინება საქართველოს გარეთ	43450	
სულ მივლინების ხარჯი	65282	4830

11,საკონსულტაციო ხარჯი

კომპანიის საკონსულტაციო ხარჯი შედგება საექსპერტო მომსახურებების, შეფასებების საბროკერო მომსახურებებისაგან 2022 და 2020 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით: 2022 წელი 9290 ლარი 2021 წელი 3695 ლარი.

12,ფინანსური ხარჯი, წმინდა

კომპანიის ფინანსური ხარჯი, წმინდა შედგება საპროცენტო ხარჯისა და საპროცენტო შემოსავლისგან. კომპანიის საპროცენტო ხარჯი წარმოადგენს საიჯარო ვალდებულებაზე დარიცხული პროცენტს. ხოლო საპროცენტო შემოსავალი წარმოადგენს „წმინდა ინვესტიცია იჯარაში“- დან დარიცხული მისაღებ საპროცენტო შემოსავალს. ფინანსური ხარჯი, წმინდა 2022 და 2021 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2022	2021
საპროცენტო ხარჯი	(3226)	(10521)
)საპროცენტო შემოსავალი	11862	
სულ ფინანსური ხარჯი, წმინდა	8636	(10521)

13,მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან, წმინდა

კომპანიის მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან, წმინდა 2022 და 2021 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2022	2021
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება	0	0
		-
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული ზარალი	- 5083	0
ფული და ფულის ეკვივალენტები	- 5083	0
საკურსო სხვაობის წმინდა შედეგი	- (5083)	0
	-	

14. სხვა შემოსავლები

კომპანიის სხვა შემოსავლები ეს იყო საშემოსავლო შეღავათი კოვიდთან დაკავშირებით 2021 წელს 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის მან შეადგინა 10905 ლარი

15 სხვა ხარჯები

კომპანიის სხვა ხარჯები 2022 და 2021 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2022	2021
საოფისე და საკანცელარიო	669	405
კომუნალური	0	0
კომუნიკაცია	604	442
ჯარიმები	4927	0
დაზღვევა	0	1190
საკომისიო	1574	626
წარმომადგენლობითი		
რეკლამა	-	112
ქონების გადასახადი	1453	983
სხვა ხარჯი	- 1665	0
სულ სხვა ხარჯები	10892	4080

16,ძირითადი საშუალებები

კომპანიის ძირითადი საშუალებები 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდგენიარად:

	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავტო	სატრანსპორტო საშუალებები	
ისტორიული ღირებულება					
31.დეკ.20	348	14901	0	29794	45043
ზრდა	4025	8719	0	67119	79863
შემცირება			0	13418	13418
31.დეკ.21	4373	23620	0	83495	111488
ზრდა	3110	5765	0	214813	223688
შემცირება	0	0	0	-163124	-163124
31.დეკ.22	7483	29385	0	135184	172052
დაგროვილი ცვეთა					
31.დეკ.20	-149	-2890	0	-17876	-20915
წლის ცვეთის დარიცხვა	-476	-3841	0	-7347	-11664
გასვლა		0	0	10064	10064
31.დეკ.21	-625	-6731	0	-15159	-42643
წლის ცვეთის დარიცხვა	-1142	-5511	0	-28729	-35382
გასვლა			0	10726	10726
31.დეკ.22	-1767	-12242	0	-33162	-47171
წმინდა საბალანსო ღირებულება					
31.დეკ.21	3748	16889	0	68336	68845
31.დეკ.22	5716	17143	0	102022	124881

კომპანიის ბალანსზე არსებული ძირითადი საშუალებები 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ არის დატვირთული გირავნობით.

17, სასაქონლო მატერიალური მარაგები

კომპანიის სასაქონლო მატერიალური მარაგები 2022 და 2021 წლების 31 დეკემბერის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
საწვავი	21	2364
სხვა		6780
სულ სასაქონლო მატერიალური მარაგები	21	9144

18, სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

კომპანიის სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2022 და 2021 წლების 31 დეკემბერის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
სავაჭრო მოთხოვნები	137090	40273
გარანტიების უზრუნველყოფა		15300
გადახდილი ავანსი	292595	0
სხვა მოთხოვნები		147
ანაბარი უზრუნველსაყოფად		175000
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	429685	230720

*შეზღუდული ფულადი სახსრების შედგება კომპანიის მომსახურე ბანკის მიერ დროებით გაყინულ ფულად სახსრებისგან, რომელიც აუცილებელია კომპანიის მიერ სახელმწიფო ტენდერში მონაწილეობის მიღების უფლების მოსაპოვებლად.

19, ფული და ფულის ეკვივალენტები

კომპანიის ფული და ფულის ეკვივალენტები 2022 და 2021 წლების 31 დეკემბერის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	598680	0
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	360718	109981
ფული სალაროში ეროვნულ ვალუტაში	0	0
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	959398	109981

20,სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

კომპანიის სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2022 და 2021 წლების 31 დეკემბერის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
მიღებული ავანსები	411581	0
ვალდებულებები საწარმოს პერსონალის წინაშე	234253	4600
სავაჭრო მოთხოვნები	234697	673367
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	880531	677967


შპს მანგი

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2022	2021
შემოსავალი	5	2334203	2658568
ძირითადი მასალის დანახარჯები		-438269	-101849
თანამშრომელთა ხელფასები და სხვა სარგებელი	6	-640009	-713093
სატრანსპორტო ხარჯი	7	-90353	-66367
იჯარის ხარჯი	8	-8750	-10000
ქვეკონტრაქტორების ხარჯი	9	-400583	-985291
ცვეთა და ამორტიზაცია	16	-35382	-11664
მივლინების ხარჯი	10	-65282	-4830
საკონსულტაციო ხარჯი	11	-9290	-3695
ფინანსური ხარჯი, წმინდა	12	8636	-10521
მოგება/(ზარალი) საკუროს სხვაობიდან, წმინდა	13	-5083	0
სხვა შემოსავლები	14	0	10905
სხვა ხარჯები	15	-10892	-4080
მოგება დაბეგვრამდე		638946	758083
მოგების გადასახადის ხარჯი			
წლის წმინდა მოგება		638946	758083
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		638946	758083


ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელის 2023 წლის 20 სექტემბერს.

უჩა ღვინჯილია



დირექტორი

თინათინ აზარაშვილი



ბუღალტერი


შპს მანგი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

	31.დეკ.22	31.დეკ.21
აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	152062	116153
წმინდა ინვესტიცია იჯარაში	1100622	1209622
სულ გრძელვადიანი აქტივები	1252684	1325775
მოკლევადიანი აქტივები		
სასაქონლო მატერიალური მარაგები	17 21	9144
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	18 429685	230720
ფული და ფულის ეკვივალენტები	19 959398	109981
სულ მოკლევადიანი აქტივები	1389104	349845
სულ აქტივები	2641788	1675620
კაპიტალი		
გაუნაწილებელი მოგება	1408089	769143
სულ კაპიტალი	1408089	769143
გრძელვადიანი ვალდებულებები		
სასესხო ვალდებულება	255463	220463
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	255463	220463
მოკლევადიანი ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	20 880531	677967
წმინდა საგადასახადო ვალდებულებები	97705	8047
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	978236	686014
სულ ვალდებულებები	1233699	906477
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	2641788	1675620


ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელის 2023 წლის 20 სექტემბერს.

უჩა დვინჯილია



დირექტორი

თინათინ აზარაშვილი



ბუღალტერი

შპს „მანგი

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება


2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

	გაუნაწილებელი მოგება	სულ
31 დეკემბერი 2020	11060	11060
წლის მთლიანი სრული ზარალი	758083	758083
გამოცხადებული დივიდენდი	0	
31 დეკემბერი 2021	769143	769143
წლის მთლიანი სრული ზარალი	638946	638946
გამოცხადებული დივიდენდი	0	0
31 დეკემბერი 2022	1408089	1408089


ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელის 2023 წლის 20 სექტემბერს.

უჩა ღვინჯილია



დირექტორი

თინათინ აზარაშვილი



ბუღალტერი

შპს „მანგი“

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

ფულადი სახსრების მოძრაობა

31/12/2022 31/12/2021

საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	840973	652715
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-261433	-512000
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	269877	-197628
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	849417	-56913
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	0	0
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	109981	166894
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	959398	109981

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელის 2023 წლის 20 სექტემბერს.

უჩა ღვინჯილია

დირექტორი

თინათინ აზარაშვილი

ბუღალტერი